

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი:

- ა) ბიბლიოთეკა მდებარეობს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, მისთვის ცალკე განკუთვნილ შენობაში;
- ბ) ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით: 9.00 სთ-დან -19.00 სთ-მდე.

2. ბიბლიოთეკა, პირველ რიგში, განკუთვნილია უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა მომსახურებისათვის;

3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოსაწერად საჭიროა ორი პირობის დაკმაყოფილება:

- ა) წიგნი უნდა იყოს აღრიცხული და მინიჭებული ჰქონდეს შესაბამისი ნომერი;
- ბ) ბიბლიოთეკით სარგებლობის მსურველი პიროვნება უნდა იყოს ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული.

4. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება უფასოა.

5. ბიბლიოთეკის აბონემენტის მომსახურებით ვერ ისარგებლებენ სტუდენტები, რომლებიც არ დარეგისტრირდებიან ბიბლიოთეკის მკითხველებად; სტუდენტების გაწევრიანება ხდება ერთხელ საბაკალავრო, მეორედ სამაგისტრო, მესამედ სადოქტორო სწავლების პერიოდში;

- ა) ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისას სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს: პასპორტი ან პირადობის მოწმობა; ერთი ცალი სურათი ზომით 3X4;
- ბ) ბიბლიოთეკის თანამშრომელი შესაბამისად ავსებს მკითხველის ფორმულარს და ანიჭებს ნომერს;

6. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების უფლება აქვს ყველა პროფესორ-მასწავლებელსა და თანამშრომელს;

7. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და გარეშე პირები სარგებლობენ მომსახურებით მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

8. წიგნის გატანა და დაბრუნება:

ა) წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი (გამონაკლისის გარეშე), ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

ბ) სტუდენტს შეუძლია, ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით; უპირატესად გაიცემა ასლის სახით (თუ კი ასეთი არსებობს);

გ) ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ერთი წლით, ერთი სემესტრით (იმ შემთხვევაში, თუ ბიბლიოთეკას აქვს ეგზემპლართა გარკვეული რაოდენობა), ერთი კვირით, რამდენიმე დღით, 24 საათით (ამას ეგზემპლართა რაოდენობის შესაბამისად არეგულირებს ბიბლიოთეკის სპეციალისტი);

დ) სალექციო მასალები, ჟურნალები, წიგნები, რიდერები და სხვა მსგავსი, რომელიც ლექტორს დაჯავშნული აქვს ლექციისათვის და განკუთვნილია იმ სემესტრში სტუდენტების მოხმარებისათვის, ბიბლიოთეკიდან შეიძლება გატანილ იქნეს მხოლოდ 24 საათით;

ე) წიგნის გაცემის და დაბრუნების ვადა განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ხშირია წიგნზე მოთხოვნა; გატანილი მასალის, ან წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას;

ვ) თუ მკითხველმა რაიმე მიზეზით ვერ დააბრუნა წიგნი დადგენილ ვადაში, აუცილებლად უნდა შეატყობინოს ბიბლიოთეკას გადაცდენის მიზეზი და გამონაკლის შემთხვევაში (თუ წიგნს ითხოვს სხვა მკითხველი) ბიბლიოთეკა თვითონ უზრუნველყოფს წიგნის დაბრუნებას;

ზ) ბიბლიოთეკის სპეციალისტს შეუძლია, მოითხოვოს წიგნის ან ბიბლიოთეკიდან გატანილი სხვა მასალის (ჟურნალის, დისკის) ვადაზე ადრე დაბრუნება, ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია უზრუნველყოს დაბრუნება, შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში;

თ) გატანილი მასალის ან წიგნის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წარმოადგინოს იმავე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი წიგნი ან სანაცვლოდ აანაზღაუროს შესაბამისი საბაზრო ღირებულების მქონე, ბიბლიოთეკისათვის მნიშვნელოვანი წიგნის სხვა ეგზემპლარებით;

ი) ბიბლიოთეკის სპეციალისტი უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი; არ გაატანოს წიგნი იმ პირებს, რომლებიც მხილებული არიან წიგნის დაგვიანებით დაბრუნებაში ან დაზიანებაში;

9. ბიბლიოთეკაში მოქცევის წესები:

ა) სამკითხველო დარბაზში შესვლისას ჩანთას ან ზურგჩანთას მკითხველი ათავსებს

საკიდზე; ფული და სხვა ძვირფასი ნივთები მან თან უნდა იქონიოს; აღნიშნული ქონების დაკარგვის შემთხვევაში, ბიბლიოთეკა იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას;

ბ) სამკითხველო დარბაზში წიგნის გამოყენების შემდეგ, დაუშვებელია მკითხველის მიერ თვითნებურად მისი თაროზე დადება; წიგნი უნდა დაუბრუნდეს ბიბლიოთეკის სპეციალისტს;

გ) წიგნის დასაჯავშნად წინასწარ უნდა მიემართოს ბიბლიოთეკის სპეციალისტს, არსებული კომუნიკაციების საშუალებებით;

დ) დაუშვებელია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სადილობა; ნებადართულია მხოლოდ წყლის ან გამაგრილებელი სასმელის ქონა;

ე) ბიბლიოთეკაში აკრძალულია მოწვევა, ხმაური და ხმამაღალი საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება;

ვ) დაუშვებელია წიგნის თვითნებურად დადება ან მისი გადამალვა, სხვა სტუდენტისათვის წიგნის გამოყენების ხელის შეშლის მიზნით;

ზ) დაუშვებელია წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობა, დაზიანება, დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა;

თ) წიგნის ან სასწავლო მასალების ქურდობასა და დაზიანებაში ხელმეორედ შემჩნეული პიროვნების მიმართ დაიწყება დისციპლინური ღონისძიებები;

10. ბიბლიოთეკის საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრით სარგებლობის წესები:

ა) კომპიუტერის მომხმარებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს ტექნიკას; მას არა აქვს უფლება, კომპიუტერში რაიმე პროგრამული ფაილი ჩაწეროს, ან წაშალოს;

ბ) კომპიუტერის მომხმარებელმა გამოყენების შემდეგ კომპიუტერი ჩართული უნდა დატოვოს;

გ) დაუშვებელია კომპიუტერის გამოყენება თამაშებისათვის;

დ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში, მომხმარებელმა უნდა მიმართოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ მომაგრებულ სპეციალისტს და თვითნებურად არ ეცადოს ხარვეზის გამოსწორებას;

ე) კომპიუტერით სარგებლობის დროის ლიმიტი არსებობს მხოლოდ სხვა მომხმარებლებისაგან მოთხოვნის შემთხვევაში და მოიცავს 2 საათს;

ვ) მომხმარებელმა თუ ვერ მოიძია მისთვის სასურველი ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული სამეცნიერო ბაზებში, უნდა მიმართოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის სპეციალისტს ან ბიბლიოთეკარს რომელიც დაეხმარება შესაბამის დარგობრივ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში ინფორმაციის მოძიებაში.

11. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე.

